ახალი განათლება

16-22.04.2020

№13 (887) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

სკოლებში სწავლა პირველ სექტემბრამდე არ განახლდება

#ისწავლესახლიდან

ევროპის მათემატიკურ ოლიმპიადაზე საქართველოს გოგონათა ნაკრების ოთხივე წევრმა მედალი მოიპოვა

მოსწავლე გოგონათა შორის ევროპის მათემატიკური ოლიმპიადა (EGMO 2020), წელს, მსოფლიო პანდემიის გამო, ვირტუალურ რეჟიმში ჩატარდა. ყოველწლიურად, აღნიშნულ ოლიმპიადაში, ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. წელს 204 საუკეთესო მოსწავლე ჩაეთო 52 ქვეყნიდან.

საქართველოს ნაკრები კომპეტენციის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ოთხი გოგონასგან შემდგარმა გუნდმა წარმოადგინა და საკმაოდ წარმატებულიც აღმოჩნდა მათთვის წლევანდელი ოლიმპიადა. პირველად, ნაკრების ოთხივე წევრმა მედალი მოიპოვა:

ანა ონოფრიშვილი – ოქროს მედალი;
თამარ ბოჭორიშვილი – ვერცხლის მედალი;
მარიამ ივარდავა – ბრინჯაოს მედალი;
მარია სხვედიანი – ბრინჯაოს მედალი.

გუნდურ ჩათვლაში, ჩვენმა ნაკრებმა, ბულგარეთთან ერთად, IX-X ადგილი გაიყო, რაც, მონაწილე ქვეყნების რაოდენობიდან გამომდინარე, კარგი მაჩვენებელია.

ნაკრების ლიდერი იყო ივანე ბოქაძე, თანალიდერები – დიმიტრი არაბიძე და საბა ლეფსვერიძე.

ინტერვიუ სიმონ ჯანაშიასთან

მასწავლებლის პროფესია პანდემიამდე და შემდეგ, პირისპირ და დისტანციურად

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ ქვეყანაში, სხვადასხვა მოსაზრებების გარდა, პარალელური რეალობები გააჩინა: ერთი, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები პირები გვთავაზობენ და მეორე, რომელშიც საზოგადოების მხოლოდ ის ნაწილი აღმოჩნდა, რომლისთვისაც ხელმისწავდომი არ არის ინტერნეტი და ტექნიკა, რის გამოც პირველ რეალობაში შეღწევა ვერ მოახერხეს. მიზეზი უთანასწორობაა. კრიზისულმა სიტუაციამ განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები წინ წამოსწია, თუმცა, ხარვეზებთან ერთად, კრიზისმა მასწავლებლის პროფესიის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტებიც გამოაჩინა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია სისტემის.

როგორ გაუმკლავდა სისტემა განათლების სფეროში არსებულ გამოწვევას და რა არის მასწავლებლისთვის ის ძირითადი კომპეტენციები, რომელზეც მომავალში კიდევ უფრო მეტად უნდა გაკეთდეს აქცენტები – ამ თემებზე გვესაუბრება განათლების მკვლევარი **სიმონ ჯანაშია.**

✓ რა გავლენას მოახდენს მიმდინარე პროცესები მასწავლებლის პროფესიაზე?

➡ ცხადია, პირველ რიგში, ამ ვითარებამ ის აჩვენა, რომ მასწავლებლები უნდა იყვნენ მზად, ასწავლონ მრავალფეროვან ფორმატში – პირისპირ თუ დისტანციურად. მეორე მხრივ, მასწავლებლებმა უცებ აღმოაჩინეს, რომ ტექნოლოგიების კარგად ფლობა სჭირდებათ და არა მხოლოდ ზოგადად კარგად ფლობა, არამედ განათლებაში მისი გამოყენების ცოდნაც. მესამე მნიშვნელოვანი, რაც ამ პირობებში გამოიკვეთა, არის სკოლის სოციალური როლის მნიშვნელობა – სკოლა უნდა ზრუნავდეს ბავშვებზე, ეხმარებოდეს მშობლებს, რომ მათ შეეძლოთ იმუშაონ და სხვა საქმეც აკეთონ, შვილების აღზრდის გარდა. სკოლა არის სოციალური ინსტიტუტი, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის განათლებას ემსახურება, არამედ, ზოგადად, საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, იმისთვის, რომ ერთმანეთთან ვიურთიერთოთ, ვიზრუნოთ ერთმანეთის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და სხვ. პრინციპში, ეს იმასაც აჩვენებს, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც არა მხოლოდ პროფესიით, არამედ მოწოდებით არიან მასწავლებლები, ძალიან ბევრს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვები განათლების მიღმა არ დარჩნენ. ისინი არ ელოდებიან არც სახელმწიფოს მითითებებს და არც მშობლების თხოვნას, თვითონ იწყებენ მოსწავლეებთან დაკავშირებას, სწავლების გაგრძელებას. ამ ვითარებაში კარგად ისიც გამოჩნდა, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ საკუთარ კლასთან უნდა მუშაობდეს, არამედ უნდა ცდილობდეს, თავისი გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს. აი, ახლა, მაგალითად, დისტანციური სწავლების მიმართულებით, უამრავი მასწავლებელი უზიარებს ერთმანეთს პრაქტიკას, ერთმანეთისგან სწავლობენ, ეხმარებიან ტექნიკური საშუალებების ათვისებაში და სხვ. გამოჩნდა რამდენად მნიშვნელოვანია გაზიარება.

კიდევ გამოჩნდა ისიც, რომ არ არსებობს რაიმე ურყევი მიზნები, ის, რომ განათლება დაკავშირებელია იმ გარემოებებთან, რომელშიც ვასწავლით, იმ პირობებთან, რაც გვაქვს სასწავლებლად. მასწავლებელი მზად უნდა იყოს, მუდმივად ცვალოს ეს მიზნები, პირობების, მოსწავლის საჭიროებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებელი არ უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ არის შეუცვლელი მეთოდი და მიზანი და უნდა იყოს ძალიან მოქნილი თავის მიდგომებშიც და მიზნების დასახვაშიც.

✓ რა დამატებითი მოთხოვნები შეიძლება გააჩინოს დღევანდელობის გათვალისწინებამ, როგორც ჟიურის წევრი, რას ურჩევთ „მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს“, რომელიც ყოველწლიურად საზოგადეობას საუკეთესო მასწავლებლებს აცნობს?

➡ ჯილდოს ფარგლებში, ჟიურის წევრები, ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, თუ რას აკეთებს მასწავლებელი საზოგადოებრივი საქმიანობის დროს, არა მხოლოდ სკოლის ტერიტორიის ფარგლებში, არამედ, რას აკეთებს ის თემისთვის, საზოგადოებისთვის ან ქვეყნისთვის. შეიძლება ის გლობალურადაც იყოს ჩართული რამე პროცესში. დღეს ეს მიმართულება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ვხედავთ იმას, რომ ადამიანი აღარ არის შეზღუდული ფიზიკური სივრცით – სკოლით და შეუძლია ასწავლოს ბევრ ადამიანს, ვისაც პირისპირ შეიძლება არც არასოდეს შეხვდეს. ასწავლოს არა მხოლოდ საგანი, რომელსაც სკოლაში ასწავლის, არამედ პედაგოგიური უნარები, ტექნოლოგიების გამოყენება, დაეხმაროს აზრის ჩამოყალიბებაში, ელემენტარულ საკითხებთან დაკავშირებით. იმასაც ვხედავთ, მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, გვყავდეს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ვენდობით, იგივეა ზუსტად მასწავლებლებთან მიმართებაშიც. პრინციპში, სწორედ ასეთ ადამიანებს ვეძებთ, რომლებსაც საზოგადოება ენდობა, როგორც პროფესიონალებს და რომელიც, ზოგადად, თავის საქმეს უყურებს არა მხოლოდ პირადი კონტრაქტიდან, არამედ მისი საზოგადოებრივი როლიდან გამომდინარე.

✓ დღევანდელი გადასახედიდან, შექმნილ ვითარებაში, ჯილდოს მასწავლებლები გამოჩნდნენ, როგორც მართლა გამორჩეული მასწავლებლები?

➡ გეთანხმებით, ნამდვილად ასეა, მათ ვხედავთ ყველგან, ვხედავთ სოციალურ ქსელებში როგორ უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, თავიანთ პრაქტიკას, ვხედავთ „ტელესკოლის“ ფარგლებშიც და ა.შ. რაც მთავარია, ვხედავთ, რომ ამას ძალიან მაღალი ხარისხით აკეთებენ. სტუდიაში, სადაც ბავშვებს ვერც კი ხედავენ, ამ პირობებშიც კი, ძალიან მაღალი ხარისხით ახერხებენ გაკვეთილის ჩაატარებას. შეიძლება ამ გაკვეთილებმა ასე მარტივად ვერ მიაღწიოს ბავშვების გარკვეულ ჯგუფამდე, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი მასწავლებელი უყურებს მათ და ბევრისთვის შეიძლება მისაბაძი გახდეს.

✓ რა ხარვეზები გამოიკვეთა დისტანციური სწავლების მიმართულებით?

➡ ძირითადი ხარვეზი ის არის, რომ მთელი აქცენტი გადატანილია რესურსების შექმნაზე და არა მის გამოყენებაზე. მაგალითად, იქმნება „ტელესკოლის“ გაკვეთილები, მაგრამ როგორ გამოიყენონ ეს გაკვეთილები მასწავლებლებმა ან მშობლებმა, ამის რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები არ არის. ვფიქრობ, ეს ძირითადი ხარვეზია. ეს არის, ზოგადად, სამინისტროს ტიპური მიდგომა, რაც ამ ვითარებაში კიდევ უფრო გამძაფრდა და კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა – ჰგონიათ, რომ გადამწყვეტი მხოლოდ რესურსებია – თუ კარგი სახელმძღვანელო იქნება, ინტერნეტში არსებული კარგი მასალები და კარგი მასწავლებელი, მაშინ მოსწავლეებს ექნებათ ყველა პირობა იმისთვის, რომ კარგად ისწავლონ. ეს ასე არ არის! ამ კარგმა მასწავლებლებმა, კარგი რესურსების გამოყენებით, კარგად თუ არ დაგეგმეს პროცესი, ისე არაფერი გამოვა.

მე მგონია, რომ კიდევ ერთი პრობლემა ისიც არის, რომ სამინისტრო გაცილებით ბევრ ენერგიას ხარჯავს საკუთარი თავის ქებაში, ვიდრე მართლა ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებასა და გავრცელებაში. თუ მას ამის კეთების საკმარისი რესურსი ან ცოდნა არ გააჩნია, მაშინ იმ ორგანიზაციებისთვის უნდა მიემართა, რომელთაც მეტი გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით ან რომლებმაც უფრო სწრაფად აითვისეს ეს ყველაფერი. მაგალითად, უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძალიან სწრაფად გადავიდნენ დისტანციური სწავლებისა და მუშაობის ფორმაზე. სახელმწიფომ რომ თქვას, რაში სჭირდება დახმარება, ძალიან ბევრი მოხალისე და ორგანიზაცია გამოჩნდებოდა, რომელიც ამ ტვირთის ნაწილს აიღებდა.

მაგალითად, ერთ-ერთმა ორგანიზაციამ – charte.ge – 500-ზე მეტ ბავშვს ჩაურთო ინტერნეტი. ეს მოხალისეები ბავშვებს ყოველთვიურ გადასახადს უხდიან. სახელმწიფოს გაცილებით მეტი რესურსი აქვს იმავეს გასაკეთებლად, მაგრამ გაცილებით ნაკლები ადამიანის შესახებ ვიცით, ვისაც სჭირდებოდა დახმარება და სახელმწიფო დაეხმარა. სახელმწიფომ შეიძლება ისწავლოს საზოგადოებისგან, დაიხმაროს ის და არ ეცადოს, ყველაფრის ცენტრალიზებულად, მხოლოდ საკუთარი ძალებით კეთებას.

გაუგებარია, რატომ დახარჯა სამინისტრომ დრო და რესურსი, მაგალითად, ტელესკოლისთვის იმ გაკვეთილების გადასაღებად, რომლის მსგავსი უკვე შექმნილია. ცუდი რესურსი კი არ არის, მაგრამ, როცა შეიძლებოდა უკვე მზა რესურსის შეძენა, რა საჭირო იყო დამატებითი რესურსისა და დროის ხარჯვა. მაგალითად, ამას წინათ, ვუყურე მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით, ერთ გაკვეთილს, მომეწონა, მაგრამ, როცა არსებობს კიდევ უფრო საინტერესოდ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც მრავალმხრივად განიხილავს თემას და ბავშვებისთვისაც უფრო ვიზუალურად მიმზიდველია, რა საჭიროა ამისთვის რესურსის თავიდან ხარჯვა? ამირან ჯამაგიძის რესურსი, რომელმაც ეს გაკვეთილი ჩაატარა, ხომ შეიძლებოდა, იმავე დროში, იმისთვის გამოეყენებინათ, რომ მასწავლებლებისთვის ესწავლებინა როგორ გამოიყენონ დოკუმენტური ფილმი, რასაც შეიძლება კიდევ უფრო მეტი ეფექტი ჰქონოდა, ვიდრე ტელევიზორში ჩატარებულ გაკვეთილს?

ყველა პრობლემა, რაც განათლების სისტემაში არსებობდა, დღეს კიდევ უფრო გამძაფრდა. ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემა ადრეც იყო და დღესაც ვნახეთ; უთანასწორობის პრობლემა სისტემას ჰქონდა და ახლაც ვნახეთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა; სახელმწიფო რომ მოუქნელია და ნელა იღებს გადაწყვეტილებას, ამასაც ვხედავდით და დღესაც ვხედავთ.

რეალურად, დისტანციური სწავლება სპონტანურად ხორციელდება და არა სახელმწიფოს დონეზე. სკოლები ძირითადად დამოუკიდებლად ცდილობენ ამას. ხშირ შემთხვევაში, სკოლაზეც არა, მასწავლებლებზე, ზოგ შემთხვევაში კი – ინდივიდუალურ მასწავლებელზე დგას პროცესი. მე კერძო სკოლაში ვმუშაობ, რომელიც მთლიანად დისტანციურ სწავლებაზეა გადასული — ერთი თვე გავიდა, რაც დისტანციურად ვასწავლით, სახელმწიფო კი, ჯერ ისევ იმაზე მსჯელობს, რომელი პროგამებით ასწავლონ.

✓ დაკარგული სემესტრი უფრო საზიანო იქნება თუ ნაკლებად ხარისხიანი განათლების მიღება?

➡ ერთი და იგივეა. ნაკლებხარისხიანი განათლება გვექნება იმიტომ, რომ, რეალურად, ვკარგავთ დროს, ბავშვების ნაწილს უცდება გაკეთილი იმის გამო, რომ არ აქვს შესაძლებლობა ისწავლოს, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა სწავლა. ეს კიდევ ცალკე საკითხია, სწავლის მოტივაცია რომ უნდა გავუღვიძოთ. დაკარგული მეოთხედის ანაზღაურება შეიძლება, მაგრამ სახელმწიფომ ცალკე პროგრამები უნდა მოამზადოს იმისთვის, რომ ჯგუფების იდენტიფიცირება შეძლოს – ვისთვის იყო განსაკუთრებით პრობლემური, მერე ბავშვებსა და მშობლებს სხვადასხვა სახის დახმარება შესთავაზოს. მაგალითად, დაეხმაროს ზაფხულის განმავლობაში, დისტანციურად, რაღაც კურსებით. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობენ მასწავლებლები, რომლებიც დილიდან საღამომდე ბავშვებს აძლევენ რეკომენდაციებს, მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერი კითხვით მიმართოს მათ. სხვის გამოცდილებას რომ ვუყურებთ, ისეთი გრძნობა გრჩება, რომ ჩვენთან სახელმწიფო, თითქოს, საერთოდ არ არსებობს და მასწავლებლები თავისით აკეთებენ რაღაცას.

✓ როგორ წარმოაჩინეს თავი ჩვენმა მასწავლებლებმა კრიზისულ ვითარებაში?

➡ ის მასწავლებლები, რომლებიც ჩანან, მგონია, რომ მართლა მისაბაძები და დასაფასებლები არიან იმის გამო, რასაც აკეთებენ – სწავლების ჩვეული რეჟიმიდან უცებ მოსთხოვეს საერთოდ განსხვავებულ რეჟიმზე გადართვა და სახლიდან იმის კეთება, რასაც სკოლაში აკეთებდნენ, თან ყველაფერი ისე უნდა აკეთონ, რომ მოსწავლეს შეიძლება ვერც ხედავდნენ, უბრალოდ მისი ხმა ესმოდეთ ან, საერთოდ, არც ხედავდეს, არც ხმა ესმოდეს და მაინც რაღაცნაირად უნდა ამყარებდეს მასთან კონტაქტს. კი, გარკვეული დოზით გამოთქვამენ მასწავლებლები წუხილს, მაგრამ პროტესტი, რომ ზედმეტს სთხოვენ, მათგან არ მსმენია.

✓ დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, უნდა ჩატარდეს თუ არა ივლისში, არსებული ფორმატით, ერთიანი ეროვნული გამოცდები?

➡ იმავე ფორმატში დიდი ხანია აღარ უნდა ტარდებოდეს გამოცდები. 15 წელია, ერთი და იმავეს ვაკეთებთ, მიუხედავად იმისა, რომ დრო შეიცვალა, მიზნები შეგვეცვალა, შეიცვალა ტექნოლოგიები და უნივერსიტეტები, ყველაფერი შეიცვალა და მარტო ეს გამოცდები არ იცვლება.

ახლაც გამოჩნდა, რომ ეს სისტემა, თავისთავად, გაუმართავია იმიტომ, რომ შეიძლება კრიზისის გამო ვერ ჩაატარო ერთი ტიპის შერჩევის რაიმე პროცედურა და მაშინ დამთავრებულია, ვეღარ ახორციელებ მიღებას. ამიტომაც უნდა იყოს სისტემა მრავალკომპონენტიანი და მრავალფეროვანი კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს მიღება, თან ამას მხოლოდ ერთი ორგანიზაცია არ უნდა აკეთებდეს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ხარისხის განვითარება

ხანგრძლივი და კონსტრუქციული თანამშრომლობის შედეგი

მიმდინარე წლის თებერვალში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების თაობაზე საზოგადოება არასათანადოდაა ინფორმირებული, რასაც ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულმა მსოფლიო პანდემიამ შეუწყო ხელი. თუმცა საზოგადოება თანდათან გამოდის შოკური მდგომარეობიდან და შეგვიძლია, განათლების სისტემაში პოზიტიურ ცვლილებებზეც ვისაუბროთ.

გვესაუბრება კახაბერ ერაძე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

✓ რა გარემოებებით იყო განპირობებული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილების აუცილებლობა?

⇨ ავტორიზაციის დებულებაში ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანის საკითხი თითქმის სამი წლის განმავლობაში მზადდებოდა. ასეთი ტიპის მასშტაბური ცვლილებების სწორად გააზრებას და დაგეგმვას დრო სჭირდებოდა. ცვლილებები ამჯერად, მთლიანად პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფას ეხებოდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ქვეყანაში პროფესიული განათლებით დაინტერესებული მხარე, რომელთანაც აღნიშნული საკითხები წინასწარ არ იყო განხილული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებებით შესრულდა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი მნიშვნელოვანი ვალდებულება და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩვენი სისტემა, პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ჩარჩოსთან მოვიდა სრულ შესაბამისობაში, რაც საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების ევროპულ სივრცეში სრული აღიარების აუცილებელი წინაპირობაა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სრულად ორიენტირებული გახდა კოლეჯის განვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის დღემდე არსებულ სისტემას პროფესიულ განათლებაში ათი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და იმ პერიოდისათვის არსებულ გამოწვევებს ის სრულად პასუხობდა. ათი წლის განმავლობაში, კოლეჯებმა ორჯერ გაიარეს ავტორიზაცია, დაიწყეს თვითშეფასება, ანუ თანდათან პროფესიული განათლების სისტემაში შემოვიდა ხარისხის კულტურის ელემენტები. თუმცა, ბევრი რამ გაუცნობიერებლად კეთდებოდა იმიტომ, რომ ასე ითხოვდა კანონმდებლობა და სულ უფრო ხშირად ისმოდა კრიტიკა ავტორიზაციის სადამსჯელო ხასიათის თაობაზე. ათი წლის თავზე, არსებული სისტემა უკვე ვეღარ პასუხობდა სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებს. მოთხოვნა ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე გაიზარდა. საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ამის გარეშე ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი შეუძლებელია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმაც სხვაგვარად გადაიფასა საკუთარი მისია, როლი და განათლების სისტემამაც ავტორიზაციის განახლებული დებულებით უკეთესი ინსტრუმენტი შექმნა არა მხოლოდ ხარისხის კონტროლის, არამედ ხარისხის განვითარების ხელშეწყობისათვის.

✓ კონკრეტულად რაში მდგომარეობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ახალი მიდგომების არსი?

⇨ კონკრეტულად, ჩვენ პროფესიული განათლების სისტემაში უარი ვთქვით აკრედიტაციაზე, ანუ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე და ის ავტორიზაციის პროცესთან გავაერთიანეთ. ავტორიზაციის პროცესმა მოიცვა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ავტორიზებული სასწავლებელი ავტომატურად ნიშნავს ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთან, ავტორიზაციის პროცესში თითოეული პროგრამა ცალკე ხდება შემოწმების ობიექტი და დაწესებულება მხოლოდ იმ პროგრამების განხორციელებაზე მიიღებს თანხმობას, რომლებიც დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

ეს მიდგომა ძველისაგან არსებითად განსხვავდება. წინა რეგულაციის პირობებში, თუ ათი პროგრამიდან ერთი მაინც იყო ხარვეზიანი, დაწესებულებას მთლიანად ერთმეოდა ავტორიზაცია. ახლა ის მხოლოდ იმ პროგრამების განხორციელების უფლებაზე მიიღებს უარს, რომლებიც სტანდარტებთან შეუსაბამოა, ხოლო დანარჩენ, სტანდარტებთან შესაბამის პროგრამებს ჩვეულებრივ რეჟიმში განახორციელებს, რაც ასევე ინსტიტუციურ და სისტემურ მდგრადობასაც უწყობს ხელს.

მეორე ინსტრუმენტი, რითაც განვითარებაზე მეტად გავხდით ორიენტირებულნი, გახდა დიფერენცირებული შეფასების შემოღება. ძველი დებულებით დაწესებულება სტანდარტის მოთხოვნებს ან შეესაბამებოდა, ან არა, რაც საკმაოდ ხისტი მიდგომა იყო. შესაძლოა სხვა ყველა დადებითი გარემოების პირობებში მცირე, ნაკლებ მნიშვნელოვანი შეუსაბამობაც კი, მაგალითად, ერთი დასახელების სახელმძღვანელოს არქონაც კი გამხდარიყო ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი. ახალი მიდგომით შესაბამისობასა და შეუსაბამობას შორის ორი დამატებითი შეფასება ჩნდება: მეტწილი შესაბამისობა და ნაწილობრივი შესაბამისობა. ამ შეფასების დროსაც დაწესებულება მიიღებს ავტორიზაციას, მხოლოდ გარკვეულ ვადაში სტანდარტებთან სრულად შესაბამისობაში მოსვლის პირობით. თუმცა ეს პირობა არ უზღუდავს კოლეჯს უფლებას, სრულფასოვნად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

> *ჩვენ პროფესიული განათლების სისტემაში უარი ვთქვით აკრედიტაციაზე, ანუ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე და ის ავტორიზაციის პროცესთან გავაერთიანეთ. ავტორიზაციის პროცესმა მოიცვა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ავტორიზებული სასწავლებელი ავტომატურად ნიშნავს ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამას.*

✓ იძნეგ მეტად დააზუსტოთ მეტწილი და ნაწილობრივი შესაბამისობის კრიტერუმები?

⇨ მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასების დადგომისათვის ორი მნიშვნელოვანი წინაპირობა არსებობს. ერთი, რომ შესაძლებელი უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში მოსვლა, შესაბამისად, 6 ან 18 თვემდე ვადაში და მეორე, რაც სრულად ახლებურ და სწორ ხედვას ნერგავს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომებში – შესაბამისობის გეგმის არსებობა. რომ დავაზუსტოთ: თუ დაწესებულებას თვითონვე არ აქვს ნაპოვნი საკუთარი ხარვეზები და მათი გამოსწორების რეალისტური გეგმა არ გააჩნია, ვერ დადგება მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობის გარემოება.

ეს, რა თქმა უნდა, ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს კოლეჯებს – ისინი სწორ თვითშეფასებას უნდა მიეჩვიონ, თვითკმაყოფილებიდან თვითკრიტიკულობაზე გადაეწყონ და საკუთარი ხარვეზების დანახვა ისწავლონ. სწორედ ესაა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩვენეული ფილოსოფიის ქვაკუთხედი. ავტორიზაცია უნდა მიიღოს არა იმ კოლეჯმა, რომელსაც ხარვეზები არ აქვს (დამერწმუნეთ, ასეთი დაწესებულება მსოფლიოში არ არსებობს), არამედ იმ კოლეჯმა, რომელსაც ამ ხარვეზების აღმოჩენისა და მათთან გამკლავების ძლიერი იმუნური სისტემა - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები აქვს. სწორედ ამ შემთხვევაში ვიქნებით მშვიდად. ასეთი სასწავლებელი თვითონვე, წარმატებით გაუმკლავდება შემხვედრ გამოწვევებს.

> *კოლეჯები სწორ თვითშეფასებას უნდა მიეჩვიონ, თვითკმაყოფილებიდან თვითკრიტიკულობაზე გადაეწყონ და საკუთარი ხარვეზების დანახვა ისწავლონ. ავტორიზაცია უნდა მიიღოს არა იმ კოლეჯმა, რომელსაც ხარვეზები არ აქვს (დამერწმუნეთ, ასეთი დაწესებულება მსოფლიოში არ არსებობს), არამედ იმ კოლეჯმა, რომელსაც ამ ხარვეზების აღმოჩენისა და მათთან გამკლავების ძლიერი იმუნური სისტემა – ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი აქვს. სწორედ ამ შემთხვევაში ვიქნებით მშვიდად. ასეთი სასწავლებელი წარმატებით გაუმკლავდება შემხვედრ გამოწვევებს.*

✓ ახალ ინიციატივებს შესაბამისი მხარდაჭერაც უნდა მოჰყვეს თქვენი მხრიდან. რას აკეთებთ ამისათვის?

⇨ ამისათვის ჩვენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვახორციელებთ როგორც საკუთარი ძალებით, ისე დონორების დახმარებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის ქვეყნებთან – ესტონეთთან და გერმანიასთან დაძმობილების პროექტის მხარდაჭერა ფასდაუდებელია. ღონისძიებებს შორის უნდა აღვნიშნოთ: ავტორიზაციის ახალი სტანდარტების გზამკვლევების შემუშავება, რაც დაწესებულებებს სტანდარტების სწორად ინტერპრეტაციასა და თვითშეფასებაში უნდა დაეხმაროს; ხარისხის სპეციალისტთა სერტიფიცირების კონცეფციის შექმნა და დანერგვა, რამაც, ერთი მხრივ, ავტორიზაციის ექსპერტთა და, მეორე მხრივ კი, დაწესებულებების ხარისხის მენეჯერების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს; ავტორიზაციის საბჭოების ტრენინგები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული მასალების, ტიპური ფორმების გადახედვა და დახვეწა, რამაც ტექნიკურად უნდა შეუწყოს ხელი პროცესის ეფექტურ წარმართვას; ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული პლატფორმის შექმნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებით, რამაც დაწესებულებებს უნდა გაუადვილოს თვითშეფასება, ექსპერტებს – შეფასება და ცენტრს კი - შედეგების ანალიზი; სიმულაციური ვიზიტების განხორციელება კოლეჯებში, მათი ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად. ყველა აქტივობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

✓ როგორ შეხვდა პროფესიული განათლების საზოგადოება ამ სიახლეებს?

⇨ ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ სიახლეს საზოგადოება ერთგვარი სიფრთხილით, უფრო ხშირად - შიშითაც კი ხვდება. ავტორიზაციის ახალი დებულების ძალაში შესვლას ყველა დაინტერესებული მხარის მხრიდან, ერთმნიშვნელოვნად, პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. დებულების გამოქვეყნების დღეს ყველა ერთმანეთს ულოცავდა: კოლეჯი, ექსპერტი, საბჭო, ცენტრი, სამინისტრო ერთსულოვანი იყო. ეს იყო სწორედ იმ ხანგრძლივი და კონსტრუქციული თანამშრომლობის შედეგი, რა გზითაც მოხდა ამ ცვლილებების ინიცირება. ყველა კარგად ითავისებს ახალი მიდგომების პოზიტივსაც და გამოწვევებსაც, რაც მოკლე ვადებში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის საფუძვლიან მოლოდინს გვიჩენს.

✓ დღეს, ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული სირთულეები რამდენად აისახება ცენტრის საქმიანობაზე?

⇨ ცენტრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწრაფად მოახერხა და უწყვეტ რეჟიმში ყველა სერვისის დისტანციურ მიწოდებაზე გადაერთო. ეს ეხება როგორც ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ წარმოებებს, როგორიცაა: ავტორიზაცია, აკრედიტაცია, სხვადასხვა პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება თუ სხვა, ასევე განვითარების საკითხებს. სხვადასხვა მიზნით შექმნილი კომისიები, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, სააპელაციო თუ დარგობრივი საბჭოები, დისტანციურ რეჟიმში, შეუფერხებლად აგრძელებენ მუშაობას. ასევე დისტანციურ რეჟიმში, აქტიურად მიმდინარეობს დაწესებულებათა კონსულტაციები, ექსპერტთა ტრენინგები და ყველა დაგეგმილი ღონისძიება. ასე რომ, საზოგადოებას თითქმის არ უგრძვნია რაიმე სახის დისკომფორტი ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელოდება მუშაობის ჩვეულ ფორმატში დაბრუნებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პოსტკორონავირუსული რეალობა ამ ფორმატის ერთგვარ ცვლილებასაც გამოიწვევს.

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

სკოლა და თანამედროვე ტექნოლოგიები

მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ შესაშური მზაობა გამოავლინა

ვაგრძელებთ საუბარს საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებთან. პირველ წერილში, ჩვენ გაგაცანით, თუ როგორ მოემზადნენ ახალციხის, ამბროლაურის, დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლები სწავლების დისტანციური ფორმისთვის, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, როგორ გაართვეს თავი და რამდენად არიან მზად მასწავლებლები ონლაინ სწავლებისთვის. დღეს ლანჩხუთის, ოზურგეთის, ყაზბეგისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების სკოლების მაგალითზე მიმოვიხილავთ შექმნილ ვითარებას.

ნინო ჩიტაძე

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

აღნიშნულ სიტუაციამდე მხოლოდ „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულ სკოლებს ჰქონდათ დისტანციურად მუშაობის თეორიული მზაობა, მაგრამ პრაქტიკული გამოყენება ამ დრომდე არ დასჭირვებიათ. ახლა კი, ამ ფორსმაჟორისას, ისინი ყველაზე მომზადებულები შეხვდნენ ამ გამოწვევას როგორც ტექნიკურ-მატერიალურად, ისე ცოდნის მხრივ. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ჩართულია ონლაინ სწავლებაში, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

ხარისხიანი ინტერნეტი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ასევე ბევრი სოფელია, სადაც ქსელური ინტერნეტი არ არის და მოსწავლეები მხოლოდ მობილური ინტერნეტის იმედად არიან. ასევე პრობლემაა ონლაინ სწავლებისთვის საჭირო ტექნიკის ნაკლებობა ან საერთოდ არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტრენინგია ჩატარებული დღემდე, არის პედაგოგთა ნაწილი, რომელთაც ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში უჭირდა და ახლაც უჭირს.

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობისთვის დისტანციური სწავლება უცხო და ახალი ფენომენია, რომელთანაც, ფაქტობრივად, მოუმზადებლებს მოუწიათ შეჯახება, ამას ერთვის ის სტრესული გარემო, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოშია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, შესაშური მზაობა გამოავლინა მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ, ყოველგვარი ზევიდან მითითების, ჩარევის, დავალების გარეშე, როგორც კი გაჟღერდა ონლაინ სწვლების საჭიროების შესახებ, დაიწყეს მოსწავლეებთან კომუნიკაცია, იმის გარკვევა, ვისთან რა ფორმით შეიძლებოდა დაკავშირება, აითვისეს ახალი პლატფორმები, ჩაერთნენ, ჩართეს მოსწავლეები, ასწავლიან კოლეგებს, ეხმარებიან სხვა სკოლებს. უჭირთ, წვალობენ, მაგრამ ცდილობენ, არც ერთი მოსწავლე არ დარჩეთ ყურადღების მიღმა. რა თქმა უნდა, ყველა მასწავლებელს თანაბარი მიღწევები და შედეგები ვერ ექნება. დამეთანხმებით, ეს რეალურ კლასშიც შეუძლებელია, არა თუ ვირტუალურში.

მნიშვნელოვან რესურსად იქცა „ტელესკოლა“, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები და შემდგომ სატელეფონო კომუნიკაციას ამყარებენ მოსწავლეებთან, ტელეფონითვე ხდება მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება.

აღნიშნული პროცესების წარმართვა, მშობელთა ჩართულობის გარეშე, შეუძლებელია. მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ყველა ეტაპზე, როგორც მოსწავლის ინტერნეტით და მასთან დაკავშირებული რესურსების უზრუნველყოფის ეტაპზე, ასევე განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მოსწავლის გაკვეთილზე დასწრებისა და მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებების შესრულების მონიტორინგის კუთხით.

დღევანდელი მოცემულობით, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, დისტანციური სწავლების გარდა, სხვა ალტერნატივა ვერ იქნება განხილული და ეს არანაირად არ გამოიწვევს სასკოლო განათლების პარალიზებას. სკოლებში შექმნილია დისტანციური სწავლებისას გამოსაყენებელი ალტერნატიული ცხრილები, რომლითაც ფუნქციონირებენ სკოლები. ხოლო იქ, სადაც ინტერნეტის პრობლემაა, კომუნიკაცია ხდება ტელეფონით. მოსწავლეების ძალიან მცირე ნაწილია, ვისთან კომუნიკაციაც საერთოდ ვერ ხერხდება და, ამ ეტაპზე, ალტერნატიული გზების მოძიება ხდება, აღნიშნულ მოსწავლეებთან დასაკავშირებლად.

ლელა იმედაშვილი

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ონლაინ სწავლების გამოცდილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სკოლას აქამდეც ჰქონდა. უკვე ყველა მასწავლებელი მუშაობს/იყენებს სხვადასხვა ციფრულ ტექნოლოგიებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა, მასწავლებლები ტელეფონის საშუალებით უკავშირდებიან. დისტანციური სწავლების გარდა, სხვა ალტერნატიული გზა, ვფიქრობ, სწორედ მობილური ტელეფონებით კავშირია.

მშობელთა ჩართულობას ძალიან დიდი და განსაკუთრებული როლი ენიჭება, მოსწავლეთა სწავლის ხარისხი უფრო მაღალი რომ იყოს, სწორედ მშობელმა უნდა შეძლოს გაკვეული სახის დამატებითი დახმარება.

საჭიროა, ყველა სოფელი იყოს უზრუნველყოფილი ინტერნეტით, რადგან დისტანციური სწავლებისთვის ეს აუცილებელი პირობაა.

ქეთევან ალიბეგაშვილი

ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

გასაგებია, რომ საზოგადოება, ზოგადად, სკეპტიკურადაა განწყობილი დისტანციური სწავლების მიმართ. ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენი ქვეყანა ამგვარი სწავლების მეთოდს არ იყო შეჩვეული და მორგებული, მით უმეტეს ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში. სკოლის მასწავლებლებს არ ჰქონდათ მზად ონლაინ რესურსები მოსწავლეებისთვის გადასაცემად. ასევე ძნელია, როცა მასწავლებელი მოსწავლეს პირისპირ არ უყურებს, კითხვა-პასუხიც ძნელდება. რაც მთავარია, პირისპირ ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ემოციურ კავშირსაც მოიცავს, რაც, ხშირ შემთხვევაში, კარგ შედეგს იძლევა. თუმცა, შეუძლებელი არაფერია, გაკვეთილების ონლაინ რეჟიმში ჩატარება ასეთ სიტუაციაშიც შეიძლება. მასწავლებლები ცდილობენ, ყოველდღიურად, ცხრილის შესაბამისად, შეხვდნენ მოსწავლეებს და, შეძლებისდაგვარად, საინტერესოდ და ხალისიანად გადასცენ ახალი მასალა.

რაც შეეხება ჩვენი რაიონის სკოლებს, მასწავლებლები მუშაობენ teams-ით ან zoom-ით, ასევე, აქტიურად იყენებენ „მესენჯერს“. იმ სოფლებში, სადაც ინტერნეტკავშირი პრობლემურია, მობილური ტელეფონებით უკავშირდებიან და ისე ატარებენ გაკვეთილებს. ჩვენს სკოლებში მრავალრიცხოვანი კლასები არ არის. ასე რომ, მესენჯერითაც ხერხდება ურთიერთობა პრობლემის გარეშე.

დისტანციური სწავლების გამოცდილება ბევრ პედაგოგს არ ჰქონდა. დაბა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლა „ახალი სკოლის მოდელშია“ ჩართული და მათ ჰყავთ ტრენერი, რომელიც ამ საქმეში დაეხმარა, ასევე, კოლეგები მიეხმარნენ ერთმანეთს და საქმე წინ წავიდა. კარგად იმუშავა სასკოლათაშორისო ურთიერთობებმაც, ყველამ ერთმანეთს გაუმართა ხელი.

რაც შეეხება მოსწავლეებს, არიან ისეთები, რომლებსაც სახლში კომპიუტერი შეიძლება არ ჰქონდეთ, თუმცა ასეთი ცოტაა. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ყველას აქვს „ბუკი“ (შესაძლებელია, დედმამიშვილს ჰქონდეს „ბუკი“), რითიც შეიძლება მუშაობა. უკიდურეს შემთხვევაში, ამ საქმეს მობილური ტელეფონიც აკეთებს. აქამდე არავის გამოუთქვამს წუხილი თუ პრეტენზია ამასთან დაკავშირებით,.

გარდა დისტანციური სწავლებისა, მოცემულ მომენტში სხვა ხერხი არ განიხილება, რადგან დისტანციური სწავლებით ვახერხებთ გაკვეთილების ჩატარებასა და ბავშვებისათვის მასალის გადაცემას.

დიდია მშობლების როლი. მათ უნდა მიადევნონ თვალი, როგორი მომზადებული და ორგანიზებული დაჯდება შვილი კომპიუტერთან, როგორი გულისყურით მოისმენს გაკვეთილს. რა თქმა უნდა, მშობლის როლი ამ დროს მნიშვნელოვანია.

ვფიქრობ, ჩვენს რაიონში სასწავლო პროცესს პარალიზება არ ემუქრება. ჩვენს რაიონში აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ინტერნეტზე წვდომა, კომპიუტერით ან მობილური ტელეფონით.

ნუგზარ მირუტაძე

ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლებიდან, **G-PriEd-ის პროექტში ჩართული იყო 10 საჯარო სკოლა. ამ პროექტმა ხელი შეუწყო მასწავლებლებს, წვდომა ჰქონოდათ ელექტრონულ რესურსზე, მაგალითად:** kargiskola.ge, სადაც უამრავი საგანმანათლებლო რესურსი იყო განთავსებული. მასწავლებელთა ნაწილი ამ ყველაფერს აქტიურად იყენებდა ბავშვებთან ონლაინ რეჟიმში, შესაბამისად, ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება მასწავლებელთა ნაწილს აქვს. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მასწავლებლები სრულად, ხოლო მოსწავლეების, დაახლოებით, 98% და მეტი დარეგისტრირებულია TEAMS-ის პროგრამაში, ხოლო მათგან წვდომა, ამ ეტაპისათვის, დაახლოებით, მოსწავლეთა 70%-ზე მეტს აქვს.

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მასწავლებლების კონსულტაციები საჯარო სკოლის IT სპეციალისტებთან, ასევე, დიდ დახმარებას უწევენ სკოლის საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლები და ის პედაგოგები, რომლებმაც კარგად აითვისეს TEAMS-ის პროგრამა. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, სსიპ ჭიათურის N1 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ძალიან კარგად ფლობენ ისტ ტექნოლოგიებს, პროგრამას: ვსწავლობ თამაშით; ყველა მოსწავლე თავისუფლად მუშაობს, ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში იყენებენ და შექმნილი აქვთ არაერთი სავარჯიშო; ნაწილობრივ ფლობენ scratch-ში მუშაობას, იყენებენ სასწავლო პროცესში და შექმნილი აქვთ რამდენიმე სავარჯიშოც, ასევე მუშაობენ Minecraft-ში, დაწყებითები იყენებენ სასწავლო პროცესშიც, განსაკუთრებით თავისუფლად ფლობენ მე-5 კლასის მოსწავლეები და ზემოთ.

დისტანციური სწავლების ხარისხიანად წარმართვისთვის, უპირველეს ყოვლისა, პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტის დაბალი სიხშირე. სოფლებში არის ისეთი უბნებიც, სადაც ინტერნეტი საერთოდ არ იჭერს, თუ გარკვეულ ადგილზე არ მივიდა მომხმარებელი, ზოგიერთ მოსწავლეს შესაბამისი ტექნიკა (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) არ აქვს.

რა თქმა უნდა, არიან მასწავლებლები, რომელთაც პირველად უწევთ დისტანციურ სწავლებასთან შეხება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათ აქტიურად ეხმარებიან სკოლის IT სპეციალისტები, სკოლის საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლები და ის მასწავლებლები, რომლებსაც ამ კუთხით მეტი გამოცდილება აქვთ.

იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, არც კომპიუტერი, ამ ეტაპისათვის, ყველაზე ხელსაყრელია „ტელესკოლის“ პროექტი, სატელეფონო კომუნიკაცია და ტესტების მატერიალურად მიწოდების შესაძლებლობა. ზოგიერთი მოსწავლის მშობელს სკოლამ, ხელშეკრულებით, გადასცა სკოლის სარგებლობაში არსებული რამდენიმე ნოუთბუქი, დროებითი სარგებლობის უფლებით. მშობლების უმეტესობა გაგებით შეხვდა აღნიშნულ საკითხს. განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები არიან აქტიურად ჩართული პროცესში და აქვთ კავშირი მასწავლებლებთან, უსვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და, შესაბამისად, იღებენ პასუხებს.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

პირველკლასელთა რეგისტრაცია

2020–2021 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის ახალი ვადები დადგინდა

✓ პირველკლასელთა რეგისტრაციის I ეტაპი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ეხებოდა, **2 მარტიდან 16 მარტის** ჩათვლით უკვე წარმატებით განხორციელდა, თუმცა, პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, გახანგრძლივდა სკოლაში დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.

✓ კერძოდ: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადად **24 აპრილის ნაცვლად 5 ივლისი განისაზღვრა**.

✓ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარსადგენ დოკუმენტებში არ იგულისხმება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის ბრძანებით შეიცვალა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, მოსწავლეების ჩარიცხვა განხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭების გარეშე. გახანგრძლივებულ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსწავლის რეგისტრაცია გაუქმდება.

✓ პირველკლასელთა რეგისტრაციის II ეტაპზე იცვლება როგორც რეგისტრაციის, ასევე დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

✓ რეგისტრაციის II ეტაპი განხორციელდება **11 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით**, ხოლო დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელი იქნება **11 მაისიდან 5 ივლისის ჩათვლით**.

ამ ეტაპზე სკოლაში დარეგისტრირდებიან ბავშვები:

➡ რომელთა და-ძმა სწავლობს სასურველ სკოლაში;

➡ მშობელი არის კონკრეტული სკოლის თანამშრომელი;

➡ ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

✓ რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

✓ რეგისტრაციის III ეტაპზეც იცვლება როგორც რეგისტრაციის, ასევე დოკუმენტების წარდგენის ვადები:

III ეტაპი – საყოველთაო რეგისტრაცია – **2 ივნისს დაიწყება და 25 ივნისის ჩათვლით** გაგრძელდება, ხოლო დოკუმენტაციის წარდგენა **2 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით** გაგრძელდება.

✓ რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე ? registration.emis.ge ელექტრონულ რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დადგენილ ვადებში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

✓ რეგისტრაციის ბოლო IV ეტაპზეც ასევე იცვლება რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

➡ IV ეტაპზე პირველკლასელთა რეგისტრაცია და დოკუმენტაციის **წარდგენა 20 აგვისტოს დაიწყება და10 სექტემბრის ჩათვლით** გაგრძელდება.

➡ ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ/ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მოხდება იმ მოსწავლეთა რეგისტრაცია, რომლებიც I, II და III ეტაპებზე ვერ დარეგისტრირდნენ ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

➡ მოსწავლის რეგისტრაციას მეოთხე ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

✓ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

➡ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სკოლები დაამტკიცებენ საქმისწარმოების ახალ წესს, რომელიც საშუალებას მისცემს მშობლებს ელექტრონულად გადააგზავნონ განცხადებები თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ან სკოლის მიერ დადგენილი წესით უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მატერიალურად ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას; სკოლა 2 დღის ვადაში დაუდასტურებს მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღებას.

➡ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში, სკოლა არ მოითხოვს დოკუმენტებს მატერიალური სახით და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაადასტურებს მოსწავლის ჩარიცხვას.

✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით და მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად არ მოითხოვონ დამატებით სხვა დოკუმენტები, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული ბრძანებით.

✓ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველკლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა:

➡ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

➡ მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

დისტანციური სწავლება

გვქონდა კი სხვა არჩევანი?!

ვირუსმა, სახელად კოვიდ-19, სრულიად ახალი გამოწვევებისა და რეალობის წინაშე დააყენა არა მხოლოდ ჩვენი განათლების სისტემა, არამედ მთელი მსოფლიო. იქნებ დღეს, როცა დასნებოვანების შიშით მთელი პლანეტის მოსახლეობა იზოლაციაშია, როდესაც წინა პლანზე წამოიწია მთელმა რიგმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა საკითხებმა, აღარ ღირდეს გაკვეთილების ჩატარებაზე ფიქრი, არც ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადება, არც პირველკლასელთა მიღება?.. იქნებ ახლა აკადემიური წლის გამოცხადება ყველაზე სწორი გამოსავალია?..

„განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებული ნაბიჯები, ონლაინ სწავლებასთან და ტელესკოლასთან დაკავშირებით, არსებულ სიტუაციაში საკმარისია იმისთვის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნები განხორციელდეს“, - ასეთია პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პოზიცია, რომელსაც მეც ვიზიარებ და ვეთანხმები.

საინტერესოა, როგორია რეალობა: არიან კი ჩვენი სკოლები და საერთოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები მზად იმისათვის, რომ გაუმკლავდნენ ამ სირთულეებს? შეძლეს ჩვენმა მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სტუდენტებმა, პროფესორებმა მოკლე დროში ონლაინ სწავლებაზე გადასვლა? ან საერთოდაც რამდენად ეფექტურია და გამართლებული სწავლების ეს ფორმა შედეგების მისაღწევად? ხომ არ ვიტყუებთ თავს? მოკლედ, უამრავი კითხვა ჩნდება სწავლების ამ ახალ ფორმასთან დაკავშირებით.

ძალიან ძნელია ამ კითხვებზე ცალსახა პასუხის გაცემა. ძნელია იმიტომ, რომ არავითარი კვლევა არ ჩატარებულა ამ კუთხით, არც შედეგებია ჯერ ჩვენთვის ცნობილი. ამ საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა და ეს გასაგებიცაა. თანაც მოდით, ვიყოთ პირდაპირები - განა სხვა გამოსავალი დაგვიტოვა შექმნილმა რეალობამ?! გვქონდა კი სხვა არჩევანი?!

თავისთავად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სკოლებიცა და უმაღლესი სასწავლებლებიც სასწრაფოდ გადაეწყვნენ სწავლების ახალ ფორმაზე. პირადად მე თამამად შემიძლია განვაცხადო - ჯერ არც ერთი დისტანციური ლექცია არ ჩამვარდნია ციფრული ტექნოლოგიების გაუმართაობის ან ჩემი არაკომპეტენტურობის გამო. უფრო მეტიც - ილიას უნივერსიტეტი, სადაც მე დაარსების დღიდან ვმუშაობ, დიდი ხანია იყენებს ამ ტექნოლოგიებს. თითოეულ ლექტორს 2013 წლიდან აქვს საკუთარი ვიდეოთეკა, სადაც თავმოყრილია ჩვენი ვიდეოლექციები. ეს ვიდეოთეკა პერიოდულად ახლდება. ყველანაირი დავალება, რიდერი, სახელმძღვანელო არსებობს ელექტრონული სახით. სტუდენტებთან დისტანციური კონტაქტისთვის ვიყენებთ საკუთარ სოციალურ ქსელს. გვაქვს ელექტრონული ბიბლიოთეკაც, რომელიც კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა დღეს. ასე რომ, ამ მხრივ პირადად მე, როგორც ლექტორი, არანაირ უხერხულობას არ ვგრძნობ, უბრალოდ, ახლა უფრო აქტიურად ვიყენებ ციფრულ ტექნოლოგიებს, ვიდრე ადრე.

იგივეა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც მიწვეული პროფესორი ვარ. საოცრად მოკლე დროში შეძლო ამ უნივერსიტეტმა სწავლების ონლაინ სისტემაზე გადასვლა და საკმაოდ ეფექტურადაც. ჩატარდა ტრეინინგები. მოდი, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ლექტორთა უმრავლესობას ადრე არ ჰქონია ასეთი აქტიური შეხება ციფრულ ტექნოლოგიებთან. მათ უმოკლეს დროში მოუხდათ ამისი ათვისება. დღეს ლექციები იქაც დისტანციურ რეჟიმში ტარდება. ასეა, ალბათ, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

რა შემიძლია ვთქვა სტუდენტების შესახებ? რა ხელისშემშლელი ფაქტორები აქვთ მათ? არიან თუ არა კმაყოფილები ამგვარი მუშაობით? ვერ გეტყვით. ჯერ პირველი შუალედური გამოცდაც კი არ ჩატარებულა, წინილებს კი შემოდგომაზე ითვლიან. ვნახავთ, რა შედეგებს მივიღებთ. მაგრამ ახლაც შეიძლება თქმა: პირველი და ძირითადი დაბრკოლება მათთვის ინტერნეტთან წვდომაა, რაც ყველა სტუდენტს არა აქვს, სამწუხაროდ. ამ რამდენიმე დღის წინ მე თავად ჩავატარე ჩემს სტუდენტებთან ინტერნეტგამოკითხვა. გამოირკვა, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილი არანაირ დისკომფორტს არ განიცდის ამგვარი მუშაობით, მეორე ნაწილისთვის კი მიუღებელია ოჯახურ გარემოში ლექციების მოსმენა, უჭირთ ლიტერატურის მოძიებაც. რაც მთავარია, ყველა უპირატესობას აძლევს ლექტორთან და ამხანაგებთან ცოცხალ ურთიერთობას. დავაფიქსირე კიდევ ერთი საინტერესო მომენტი – ის სტუდენტები, რომლებიც შემოდგომის სემესტრში თითქმის არ მესწრებოდნენ, ახლა არცერთ ონლაინ ლექციას არ აცდენენ.

განსაკუთრებული სირთულე შეგვექმნა პედაგოგიური პრაქტიკის კუთხით. გასაგებია, შეუძლებელია სკოლაში შესვლა, გაკვეთილზე დასწრება, მოსმენილის ანალიზი, მოსწავლეებთან ცოცხალი ურთიერთობის დამყარება. მაგრამ აქაც მოვძებნეთ გამოსავალი და ჩვენი სტუდენტები თავიანთი უფროსი კოლეგებისგან ჯერჯერობით ონლაინ გაკვეთილების ჩატარებას სწავლობენ. ამ მხრივ პარტნიორი სკოლები ძალიან გვეხმარებიან.

რა ხდება სკოლებში ამ კუთხით? ამაზე უმჯობესია, თავად მასწავლებლებმა გაგვცენ პასუხი. ჩემი აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციურ სწავლებას კიდევ შეიძლება ჰქონდეს გამართლება, ის ალბათ სამომავლოდ კიდევ უფრო დაიხვეწება და შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება სხვადახვა სიტუაციებში. რაც შეეხება სკოლას, აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო. სკოლა აღმზრდელობითი დაწესებულებაც გახლავთ და ონლაინ აღზრდა ცოტა რთული, უფრო სწორად, წარმოუდგენელი მგონია. ისიც ვთქვათ, რომ დისტანციურ სწავლებამდეც არაერთი ხარვეზი და ჩავარდნა გვქონდა სასკოლო განათლების კუთხით, შექმნილმა ვითარებამ ეს დროებით გადაფარა და მალე ალბათ ისევ იჩენს თავს.

რაც შეეხება ტელესკოლებს, სასიამოვნო სიახლეა. მის ავკარგზეც ალბათ მასწავლებლები ჩემზე მეტს გეტყვიან. პირადად ჩემთვის კი იგი კარგად დავიწყებული ძველია. როგორც პედაგოგმა, მეც ტელესკოლაში ავიდგი ფეხი. იმ შორეულ 70-80-იან წლებში იგი დიდებულად ფუნქციონირებდა ქართულ ტელესივრცეში. უფროსი თაობის ადამიანებს დღესაც ახსოვთ ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის ლექციები ქართულ ლიტერატურაში. ამ ლექციებს მაშინ მთელი კვირა ელოდნენ. ისმენდნენ მას არამხოლოდ აბიტურიენტები (ვისთვისაც იყო ეს ლექციები განკუთვნილი), არამედ ყველა, ვისაც ქართული ლიტერატურა უყვარდა. ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა. იმ პერიოდშიც რეპეტიტორის სკოლა ისევე აუცილებელი იყო აბიტურიენტებისათვის, როგორც დღეს. და აი, ამ სკოლას წარმატებით ანაცვლებდა ეს ლექციები. თითოეული ლექციის შემდეგ მსმენელებს, სათანადო მითითებებთან ერთად, საწერად ეძლეოდათ დავალება (მაშინ ამას სასკოლო თხზულებას უწოდებდნენ, დღეს ესსეა), შესრულებულ დავალებს აბიტურიენტები აგზავნიდნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან. მათ ასწორებდა და აფასებდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელშიც მეც ვიყავი. ფაქტობრივად იქ ვისწავლე ნაწერის გასწორება და შეფასება. იმასაც დავამატებ - ვწერდით განმავითარებელ შეფასებას, ვუთითებდით შეცდომებზე, ვესაუბრებოდით მათი აღმოფხვრის გზებზე... შედეგები იყო ძალიან კარგი. ჩვენი მსმენელების უმრავლესობა წარმატებით აბარებდა მისაღებ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ენაშიც არანაკლებ საინტერესო ლექტორი ჰყავდათ მოწვეული - ბატონი რუბენ ენუქაშვილი. იმასაც დავამატებ: არც ბატონ თამაზს და არც ჩვენ მაშინ წარმოდგენა არ გვქონდა სწავლების დღევანდელ სტრატეგიებზე, მაგრამ თუ ერთხელ მაინც ამოსწევთ ფილმოთეკიდან ამ ლექციებს, დარწმუნდებით, რომ ისინი სწორედ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისაკენ იყო მიმართული და აბიტურიენტს საკუთარი აზრის დასაბუთებას აჩვევდა.

იმედია, რომ მალე გადავინაცვლებთ საკლასო ოთახებში, სასწავლო აუდიტორიებში, მაგრამ ის გამოცდილება, რომელიც ახლა მივიღეთ, აუცილებლად გამოგვადგება შემდგომ მუშაობაში.

ნათელა მაღლაკელიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თვითიზოლაციაში მყოფი სტუდენტები უცხოეთიდან

ჰარმონია დავკარგე და გეგმები ამებურდა...

მარიტა გოგიჩაიშვილი
საფრანგეთის université clermont auvergne-ის ფრანგულენოვანი პროგრამის – ტურიზმი/სცენის ხელოვნების პირველი კურსის სტუდენტი

◆ ფრაზა, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს ჩემს მდგომარეობას? – ჰარმონია დავკარგე, გეგმები ამებურდა და ჰაერში ვარ გაკიდებული!

◆ პირველ რიგში, დიდი მადლობა, რომ ჩვენ გვითმობთ სივრცეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი სტრესის ქვეშ ვარ ამ წამს, მაინც მგონია, რომ ჩემზე უარეს სიტუაციაში ბევრი იმყოფება. თავიდანვე ისე მოხდა, რომ „სტუდენტური ფოიეს“ ნაცვლად ბინა ვიქირავე, რომელსაც 2 სხვა ადამიანთან ვიყოფ. ნეტა, იცოდეთ, როგორ გამიმართლა „ფლეთმეიტებში“, ამას მეც ამ გაჭირვების ჟამს უფრო მივხვდი. მოკლედ მარტო არ ვარ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ განვიცდი იმ ბავშვების მდგომარეობას, ვინც მარტოა დაცარიელებულ სტუნდეტურ საცხოვრებელში 4 კედელში გამოკეტილი.

◆ თვითიზოლაციის შემდეგ, პირველივე, რასაც სიამოვნებით გავაკეთებ, პარკში გავალ და მთელი დღე მზეს მივეფიცხები, მერე აუზზე წავალ და ბევრს ვიცურავებ.

◆ ეს პერიოდი ყველასთვის რთულია, მაგრამ უცხოეთში მყოფი სტუდენტებისთვის, განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა, უამრავი ახალი საზრუნავი და პასუხისმგებლობა დაგეკისრა. სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადავედით, ლექტორები გვაწვდიან ინსტრუქციებს და ჩვენით უნდა მივხვდეთ, რა როგორ უნდა გავაკეთოთ (ძლივს სისტემაზე ადაპტირებული თავები ახალ სხვა რეჟიმზე უნდა გადავიყვანოთ);

◆ ვერ მოვდივართ უკან და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირადად ჩემთან მარტივადაა, უბრალოდ, არ არის რეისები საფრანგეთიდან. არანაირი, ჯერჯერობით. სხვების შემთხვევაში, შეიძლება საქმე უფრო რთულად იყოს – მაგალითად, ბილეთის ფასს ბინის ორი თვის ფასი აქვს და ამიტომ ვერ ყიდულობენ. ჩემი წამოსვლა იმის გამოც ყოვნდება, რომ არ ვიცით გამოცდები როგორ ჩატარდება ან აღდგება თუ არა სწავლა. სრული ქაოსია – არ ვიცი როგორ ავღწერო ასეთი გაუგებრობა რას იწვევს ჩემში.

◆ ჩემს ცხოვრებაში ზუსტად ის პერიოდი იყო, როცა ადაპტირების ეტაპი გადავლახე და აქტიურად ვცდილობდი სამსახურის შოვნას. მინდოდა, ზაფხულშიც მემუშავა და ფული დამეგროვებინა შემდეგი წლისთვის. ბაკალავრის დაფინანსებები საერთოდ არ აქვს საქართველოს მთავრობას – სპეციფიკურ ფაკულტეტებს აფინანსებენ ხოლმე, რაზეც ძალიან იშვიათად აბარებენ სტუდენტები. არადა, უცხოელი სტუდენტისთვის ნამდვილად არ არის ადვილი სამსახურის შოვნა. მაგრამ ყველაზე მეტი სადარდებელი მაინც ის არის, რომ ოჯახისგან ძალიან შორს ვარ. ამ კრიზისულ პერიოდში, რომელიც ღმერთმა იცის როგორ შემობრუნდება მდგომარეობა და რამდენ ხანს გაიწელება ეს პროცესები ან რა პოსტ-ეკონომიკურ მდგომარეობას მოგვიტანს ყველას, ყველაზე მეტად მაინც ოჯახთან ყოფნა მაღელვებს – მინდა ოჯახის წევრებს შორის ვიყო, რადგან ყველაზე დაცულად და მშვიდად თავს იქ ვიგრძნობ – ნებისმიერი სირთულე ასჯერ უფრო იოლია, როცა გვერდით საყვარელი ადამიანები გყავს.

◆ რაზე დამაფიქრა შექმნილმა სიტუაციამ? – არ ვიცი, დეპრესია და ნევროზი რომ დამმართა, ეს ვიცი, მაგრამ ვცდილობ, ყველაფერს გავუმკლავდე. ხელოვნების მიმართულების სტუდენტი ვარ, შესაბამისად, დავალებების სახით ბევრ ფილმს ვუყურებ, ახლახან ჩემს საყვარელ სერიალს – „ცხენ ბოჯაკს“ მოვრჩი. მუსიკას ვუსმენ იმავეს, რასაც ვუსმენდი, უბრალოდ, რადგან მეტი დრო მაქვს და ძველი ფლეილისთებიც ამოვქექე, სპექტრს ვაფართოებ – ანუ ჩემს ძვირფას 60-იანებს! ცოტა დისტრესი რომ მიმეღო, ჩარლზ ბუკოვსკის „ქალები“ წავიკითხე, უფრო სწორად, აუდიოწიგნი მოვისმინე. ამას წინათ, სადღაც სტატია წავიკითხე, რომ კორონავირუსის გამოჩენასთან ერთად, კამიუს „შავი ჭირის“ გაყიდვაზე ბუმი გაჩნდაო. მაგ ხალხს გაუმარჯოს, ახლა ვისაც ამ წიგნის წაკითხვა შეუძლია. მე რომ ვერ შევძლებ, ზუსტად ვიცი.

◆ ქუჩაში, კვირაში ერთხელ, მხოლოდ პროდუქტების საყიდლად მიწევს გასვლა, მაგრამ ისეთი ატმოსფერო ტრიალებს სრულიად დაცარიელებულ ქუჩებში, რომ კიდევ უფრო ისტრესები. მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ ზერელედ ეკიდება ყველაფერს და ამიტომ, თითქმის ყოველდღე, ცვლიან წესებს. ფორმულარს პუნქტები დაამატეს და ქუჩაში გასვლის დროის მითითებაც აუცილებელი გახდა. კარანტინის დაუმორჩილებლობის გამო, ბევრი მოქალაქე დაჯარიმდა.

◆ მინდა, ჩემს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსაც გამოვეხმაურო – მესმის იმ ადამიანების, ვისაც გულწრფელად სწამს, რომ ეკლესიაში დაინფიცირება ვერ მოხდება, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ, რადგან ის მაინც უნდა გაიგონ, რომ ეკლესიაში თუ არა, ეკლესიის გზაზეც კი შეიძლება ვირუსის გავრცელება. თავიანთ თავზე თუ არ ფიქრობენ, სხვებს მაინც ნუ ჩააგდებენ საფრთხეში.

ხელისუფლებაც და სინოდიც პირდაპირი პასუხისმგებლები არიან, რადგან ადამიანებს მისცეს საშუალება, სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანა გაერთულებინათ. სამწუხაროა, რომ ეკლესიას ამხელა ძალაუფლება აქვს. სწორედ მაგ ძალაუფლებაში იკარგება მათი ქრისტიანობა.

მარნეულში განვითარებული მოვლენების შესახებ კი ვიტყოდი, რომ იქ რაც მოხდა, ეს არც დღევანდელი და არც გუშინდელი პრობლემა არ არის, სახელმწიფოს დიდი ხნის წინ უნდა დაელაგებინა რეგიონებს შორის ურთიერთობა! იმედია, სამომავლოდ მაინც ვისწავლით რამეს. საზოგადოების დამოკიდებულებასაც ხომ სწორი პოლიტიკა ქმნის!

◆ და მაინც, წამოსვლა მინდა, მაგრამ, ერთი მხრივ, ველოდები სპეცრეისის დანიშვნას, რომელიც ბინის ქირის ფასი არ დამიჯდება, მეორე მხრივ, უნივერსიტეტისგან პასუხს – ამით ხომ არ შემექმნება პრობლემები სწავლის დასრულებასთან დაკავშირებით.

ტექნოლოგია ძალიან კარგი რესურსია იმისთვის, რომ ეს პანდემია შევაჩეროთ

ლუკა ჯაფარიძე
ლაიდენის უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

◆ მე ვარ ლუკა ჯაფარიძე, 19 წლის. ვსწავლობ ლაიდენის (ნიდერლანდები, ქალაქი ჰააგა) უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის პირველ კურსზე. ნიდერლანდებში კორონა ვირუსის პირველი შემთხვევა 27 თებერვალს დაფიქსირდა, კერძოდ ქალაქ ტილბურხში, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. არც მთავრობა და არც მოსახლეობა ამას პანიკით არ შეხვედრია. თავიდან არანაირი ზომები არ მიუღიათ, რადგან ნიდერლანდებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხიანი და მოწესრიგებული ჯანდაცვის სისტემა აქვს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კი გვითხრა, რომ თუ ოდნავ მაინც ვიგრძნობდით გრიპის სიმპტომებს (ტემპერატურა, ხველა, ცემინება, სურდო), არ გავსულიყავით ჩვენი ოთახიდან, სანამ არ გამოვჯანმრთელდებოდით. თუკი სიმპტომები გაუარესდებოდა, მხოლოდ მაშინ დაგვერეკა ჩვენი პირადი ექიმისთვის.

◆ ნიდერლანდები პატარა და ძალიან მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძალიან განვითარებულია და ხალხი ხშირად გადაადგილდება ქალაქებს შორის, სწორედ ეს აღმოჩნდა კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევების ძალიან სწრაფად მატების ხელშემწყობი. 12 მარტს, შუადღისას, ნიდერლანდების მთავრობამ 100-ზე მეტი ადამიანის შეხვედრის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. იმავე დღეს, საღამოს, გამოაცხადა, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესი შეწყვეტილიყო – დაუდგენელი ვადით. იმავე დღეს, ლაიდენის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სასწავლო პროცესი გააუქმა 6 აპრილამდე და სტუდენტებს, სურვილისამებრ, სახლში დაბრუნების უფლება მოგვცა. რამდენიმე დღეში სტუდენტების უმეტესობმ დატოვა უნივერსიტეტი, მათ შორის – მეც. მივიღე გადაწყვეტილება, საქართველოში დავბრუნებულიყავი. 20 მარტს, ლაიდენის უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში გაგრძელება გამოაცხადა, სემესტრის ბოლომდე. ამჟამად, ნიდერლანდებში მკაცრი ზომებია მიღებული – დაუშვებელია 3 ადამიანზე მეტის ერთად გადაადგილება; აკრძალულია 1.5 მეტრზე ახლოს მიახლოება ადამიანებთან; პოლიციას უფლება აქვს, ჯარიმა გამოწეროს დარღვევის შემთხვევაში.

◆ რაც შეეხება ჩემს საერთო საცხოვრებელს, 22-სართულიან საერთო საცხოვრებელში 400-ზე მეტი სტუდენტი ვცხოვრობთ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აკრძალა სართულებს შორის გადაადგილება, ასევე, საერთო სივრცეებში თავშეყრა და სტუდენტებს მოუწოდებენ, რამდენადაც შეძლებენ, იყონ იზოლაციაში, შენობა მხოლოდ გამოუვალი საჭიროების შემთხვევაში დატოვონ და არ მიიღონ სტუმრები. პირადად მე, ონლაინ სწავლებაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ და ვფიქრობ, ელექტრონული ტექნოლოგია ძალიან კარგი რესურსია იმისთვის, რომ ეს პანდემია შევაჩეროთ. ლაიდენის უნივერსიტეტში რვაკვირეულის ბოლო კვირა იყო, როცა სწავლა გაუქმდა, ამიტომ, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი სემინარი ჩაგვიტარდა ონლაინ რეჟიმში. ახლა გამოცდების კვირეული გვაქვს და უკვე ორი გამოცდა ჩავაბარე ონლაინ რეჟიმში. სამომავლოდ, ვფიქრობ, ონლაინ სწავლება გაამართლებს ჩემს უნივერსიტეტში, ბევრი მიზეზის გამო. პირველ რიგში, კვირაში გვაქვს 5 სემინარი და მხოლოდ ერთი ლექცია და ამ რაოდენობის ონლაინ სემინარის და ლექციის ჩატარება დიდ სირთულეებს უკავშირდება. ამასთანავე, აკადემიური პროცესის დიდი ნაწილი ისედაც ონლაინ რეჟიმში მიმდიონარეობდა – ვიყენებთ ონლაინ პლატფორმას Blackboard, სადაც ვიღებთ საგნების შესახებ ინფორმაციას და ინსტრუქციებს და ვტვირთავთ დავალებებს. საგნის საბოლოო ქულა რამდენიმე კრიტერიუმიდან გამოითვლება და აქედან, მხოლოდ ორი კრიტერიუმი – საბოლოო გამოცდა და სემინარში ჩართულობის ქულა – მოითხოვს ფიზიკურ ჩართულობას, რომელთა ჩანაცვლებაც იოლად მოხერხდა ონლაინ გამოცდითა და Blackboard-ზე დისკუსიის სექციის საშუალებით.

◆ ჩემი საუნივერსიტეტო გამოცდილება თავისუფლად მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ლაიდენის უნივერსიტეტში (და ზოგადად, ნიდერლანდების ყველა უნივერსიტეტში) სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლა არ იქნება სტუდენტებისთვის არანაირი დაბრკოლება, მიზეზი მაღალი აკადემიური მოტივაციაა.

◆ რაც შეეხება დასწრების აღრიცხვას, ლაიდენის უნივერსიტეტში უამრავი ეროვნების სტუდენტი სწავლობს, რომელთა უმეტესობა თავიანთ ქვეყნებში იმყოფება, და სემინარების ჩატარების ოპტიმალური დროის მოძებნა შეუძლებელია, ამიტომ ონლაინ სემინარებზე დასწრება არ იქნება სავალდებულო. ონლაინ რეჟიმში სწავლება ამ სემესტრის ბოლომდე (ივნისამდე) ჩატარდება და, ამ დროისთვის, ჯერ არ განიხილება, მომდევნო სემესტრშიც ამ რეჟიმში გაგრძელდება თუ არა სწავლა. იმედია, აგვისტომდე მოხდება პანდემიის შეჩერება. ნიდერლანდებში შემთხვევები კვლავ იმატებს, მაგრამ იმაზე მცირე ტემპით, ვიდრე წინა კვირას, ამიტომ დიდი იმედი მაქვს მალე შეჩერდება კორონავირუსი.

ანალიტიკა

COVID-19 ადამიანური კრიზისი და გამოწვევა



(დასასრული, დასაწყისი იხ. №12)

დ) მნიშვნელოვანია არა **რომელი**, არამედ **როგორი** სახელმწიფოები აღმოჩნდნენ რეზისტენტულები ვირუსის მიმართ. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ ისეთები, რომელთა საფუძველიც **სოციალური თანასწორობაა** და რომელთაც **ინდუსტრია** და **სოფლის მეურნეობა** სათანადოდ აქვთ განვითარებული; – ისეთები, რომელთაც **სოციალური დაცვის სისტემები** მეტნაკლებად მაღალ დონეზე აქვთ წარმოდგენილი, რასაც, ასევე, **ჯანმრთელობის დაზღვევის სამედიცინო სისტემა** განეკუთვნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანამ მომავლისთვის სწორად განსაზღვროს თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

ე) ნდობა სწავლულ-ექსპერტთა, პროფესიონალთა მიმართ. კორონავირუსმა კიდევ ერთი საკითხი დააყენა დღის წესრიგში: მეცნიერ-სწავლულებისადმი იმედი, რწმენა და მოთხოვნა გაიზარდა – არა მხოლოდ რომელიმე ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიო საზოგადოებაში. თუ წინა ეკონომიკური და ლტოლვილთა კრიზისების დროს მეცნიერ-ექსპერტთა მოსაზრებები მოსახლეობის დიდ ან გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა მემარჯვენე პოპულისტების პროპაგანდის საფუძველზე, ახლა მდგომარეობა სხვაგვარადაა, რადგანაც კაცობრიობა შველას სწორედ მეცნიერ-ექსპერტებისგან ელის. ეს კი უშუალო კავშირშია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან, რაც, პირველ რიგში, აკადემიურ სივრცეში ხორციელდება. აკადემიური სივრცე, ისე როგორც არასდროს, მოთხოვნადი გახდა. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ სამედიცინო სფეროს, არამედ ისეთ სფეროებსაც, რომლებიც უშუალოდ თუ გაშუალებულად გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრიზის დაძლევაში. ესენია: აგრარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ, ამავე დროს, რადგან კორონა ვირუსის ეპიდემია კაცობრიული პრობლემაა, ხოლო კაცობრიობა ერთმანეთთან მორალური კომუნიკაციის ორგანიზმია, მოთხოვნადია ან უნდა იყოს ის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც სამართლიანობის, ზნეობრიობის და მორალურობის კვლევითაა დაკავებული. საინჟინრო ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათი გაჩენის დღიდან მეტნაკლები ინტენსივობით სხვადასხვა დროს ხდებოდა მოთხოვნადი. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ მათი პოპულარობა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებული სიკეთეებითა და ფინანსური მოგების გაზრდით განისაზღვრებოდა, რომელიც, ხშირ შემთვევაში, არათუ კავშირში, არამედ სრულ დაპირისპირებაში იყო ადამიანობის არსებობის საფუძველთან – მორალურობასთან/ზნეობრიობასთან. ასეა თუ ისე, აკადემიური პროფესიონალიზმი კვლავ „მოდაში შემოდის“, რაც განათლების სისტემის და ამ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების და სწორი პრიორიტეტების ახლებურ განსაზღვრებებს მოითხოვს. მაგრამ, **განათლება უნდა იყოს განმანათლებლური და შესაბამისად – ჰუმანისტური, და არა მხოლოდ ცალკეული სოციალური ჯგუფებისათვის, არამედ ყველასთვის ხელმისაწვდომი,** რათა ეს და მსგავსი პრობლემები დროულად და სწორი ჰუმანისტური შედეგებით დასრულდეს.

საქართველო და კორონავირუსი

როგორ შეხვდა საქართველო კორონავირუსს და რა პრიორიტეტები აქვს ქვეყანას განსაზღვრული კრიზისის დაძლევის შემდგომ მყარი და გრძელვადიანი განვითარებისათვის, რათა მსოფლიოს/კაცობრიობის მომავალ გამოწვევებს უფრო მომზადებული შეხვდეს? რაც შეეხება მიმდინარე პრობლემას – კრიზისის მართვას, უნდა ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის ქმედებები მინიმუმ, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით. ყოველი ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ ზოგადად მსოფლიო-დაგვიანებული რეაგირების შემდგომ გადადგა, არის კარგად გააზრებული, ორგანიზებული და დროული. ამ კუთხით, მისთვის პრეტენზიის წაყენება გონებრიობის ფარგლებში მასთან ყველაზე დაპირისპირებულ ძალასაც გაუჭირდება. თავად სამედიცინო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა პროფესიულად და ეფექტიანად მუშაობს, მაგრამ მიუხედავად სოციალ-პოლიტიკურ სისტემებს შორის განსხვავებისა, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთნაირი მეთოდებით იბრძვის ამ გამოწვევის წინააღმდეგ – თუმცა, ეფექტურობის და დროულობის სხვადასხვა მაჩვენებლით. უფრო მნიშვნელოვნია, რომ როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ დაიწყოს სერიოზული ფიქრი, და მეტიც, შემუშავება პოსტ-კრიზისულ პერიოდში ქვეყნის განვითარებისათვის, რა შემთხვევაშიც მინიმუმამდე უნდა შემცირდეს იმ შეცდომათა რიცხვი, რომლებმაც შეიძლება კრიზისის განგრძობის შემთხვევაში და მისი დასრულების შემდგომ, შეაფერხონ ქვეყნის შეძლებისდაგვარად სწრაფი წინსვლა. პირველი და უმთავრესია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რითაც ქვეყანამ თვითკმარი არსებობა არა მხოლოდ გლობალური და ლოკალური კრიზისების დროს უნდა შეძლოს, არამედ ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობის დროსაც. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო და იმედის მომცემია, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს შესაბამისი განცხადებები.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სტრატეგიული გეგმები საჭიროებენ ღრმა სამეცნიერო კვლევით გაანალიზებას და შესაბამისად, მის შემუშავებაში ჩართულები უნდა იყვნენ მაღალი რანგის სწავლულ-ექსპერტები აკადემიური სივრციდან, რამდენადაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავად კრიზისმა გამოიწვია მათზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით.

ამასთან, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის დახვეწამ ხელი უნდა შეუწყოს ღონისძიებათა ეფექტურად განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. არსებულმა კრიზისმა, მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ჩვენში, პირდაპირ თუ ირიბად დააყენა განათლების და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების (რომელიც თავის თავში კვლევასაც მოიცავს) სწრაფი და გონივრული განვითარებისა და რეფორმირების მოთხოვნა. იმ მარგინალური მიმართულებების ნაცვლად, რომლებიც, დროის მოთხოვნის შესაბამისად, პოპულისტური პროპაგანდის შედეგად იყო წინა პლანზე წამოწეული, როგორებიცაა, მაგალითად, ტურიზმის დარგობრივი მიმართულება, ან ბიზნეს ადმინისტრირება. სწრაფად უნდა შემოტრიალდეს აკადემიური სპექტრი იმ დარგების განვითარებისაკენ, რომლებიც არა მხოლოდ კრიზისული პერიოდისთვის არის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად, ქვეყნის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისთვის, როგორებიცაა საინჟინრო ტექნოლოგიური მიმართულებები, აგრარული მეცნიერებები, სამედიცინო მიმართულება და ყველა ის განხრა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სამყაროს შექმნის საფუძველია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რიგი აკადემიური დარგები ამით დაზარალდეს, არამედ მკაფიოდ უნდა დაისახოს პრიორიტეტები. ასევე, ზუსტად უნდა დადგინდეს პრიორიტეტული მიმართულებები არა მხოლოდ დროებითი საჭიროების მიხედვით, არამედ ფუნდამენტური თვალსაზრისით. აგრეთვე, განსასაზღვრია სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურა და იურიდიული სტატუსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სივრცის გამართულად მუშაობას.

ამ კრიზისმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა მსოფლიოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მხოლოდ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ, ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა თუ სხვა მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში გამართულად არსებობისათვის, მუდმივ ბმაში უნდა იყოს განხილული განათლებისა და კვლევის აკადემიურ სივრცესთან.

მამუკა ბერიაშვილი, ილია მარჯანიძე

დაიჯესტი

❖❖❖

სწავლა სკოლებში პირველ სექტემბრამდე არ განახლდება, თუმცა, ქვეყანაში აკადემიური წელი არ გამოცხადდება – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ. *„განათლების სამინისტრომ ეფექტურად შეძლო გამკლავებოდა ამ შეზღუდვებს და დისტანციური სწავლების მეთოდები როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლესის ნაწილში საკმაოდ ეფექტურად გაატარა და დანერგა იმ დონეზე, რა დონეზეც შეგვიძლია დადასტურებულად ვთქვათ, რომ ქვეყანაში აკადემიური წელი არ გამოცხადდება.“*

პრემიერის განცხადებით, არაფერი ემუქრება არც ეროვნულ გამოცდებს, თუმცა, მისი განმარტებით, აქ შეიძლება გადაიხედოს გადავადების ნაწილი, თორემ მექანიზმი ეროვნული გამოცდების სრულად შენარჩუნდება.

გიორგი გახარიამ განათლების სისტემაზე ცალკე პრეზენტაციის გაკეთება დააანონსა.

❖ ❖ ❖

იუნესკოს 1995 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, 23 აპრილს წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ამ დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, წიგნისა და ავტორებისადმი პატივისცემას გამოხატავენ და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს მართავენ.

წიგნის მსოფლიო დღედ 23 აპრილი იუნესკომ კატალონიაში დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით შეარჩია, რომლის მიხედვითაც ადამიანები ერთმანეთს წიგნებით ასაჩუქრებდნენ.

ამ დღის მიზანია წარმოაჩინოს წიგნის მნიშვნელობა და ხელი შეუწყოს ახალი, განათლებული თაობის აღზრდას.

❖ ❖ ❖

დასრულდა განაცხადების მიღება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის 8 სასტიპენდიო პროგრამაზე. ამ ეტაპზე, უკვე ცნობილია სამ ერთობლივ სასტიპენდიო პროგრამაში გამარჯვებული კონკურსანტების ვინაობა: საქართველოს 70 მოქალაქე უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას შემდეგი სასწავლო წლიდან გააგრძელებს. დანარჩენ პროგრამებში მიღებული აპლიკაციების განხილვა ამჟამად მიმდინარეობს.

2020-2021 სასწავლო წლისთვის გამოცხადებულ კონკურსებში რეგისტრაცია 1464 მოქალაქემ გაიარა, მათგან საუკეთესოები აკადემიურ ხარისხს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებენ ან კვალიფიკაციას აიმაღლებენ სათანადო პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში. უახლოეს მომავალში, გამოცხადდება „ფულბრაიტის“ სასტიპენდიო პროგრამა, რომელსაც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო განათლების საერთაშორისო ცენტრთან ერთად ახორციელებს.

ეს იქნება დასტური თქვენი დიდი სიყვარულისა სამშობლოს წინაშე

ინგა მოსიძე
*ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ სალიბაურის №1 საჯარო და
სოფელ სალიბაურის №2 სკოლა-პანსიონის
სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის პედაგოგი*

#დარჩისახლში

თავდაპირველად ძალიან დაბნეული და აფორიაქებული ვიყავი, მოულოდნელად შევიცვალე ცხოვრების რეჟიმი და სხვა რეალობაში აღმოვჩნდი. მერე დავფიქრდი და მივხდი, რომ ამ თვითიზოლაციაშიც ჯი, შეიძლება გამონახოს ადამიანმა პოზიტივი. სნავლის პერიოდში თითქმის არ მჩრებოდა დრო მხატვრული ლიტერატურის ჯითხვისთვის. ამ მოკლე დროში ჩოხელისა და რემარჯის ნანარმოებები წავიკითხე, განსაკუთრებით საინტერესო იყო ჟურნალის „ჩემი სამყარო" სტატიები.

გთავაზობთ ცნობილი ქართველი წმინდანის, თეოლოგისა და ისტორიკოსის გრიგოლ ფერაძის მოსაზრებას მოქალაქეობის არსზე, რომელიც ერთ-ერთ უთუოდეს პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დროს, დანერა. სიტყვები, რომელიც ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია დღესაც: „მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, წინდახედულებას, სხვისი აზრის გათვალისწინებას, ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას, მოქალაქეებისათვის მსხვერპლის გაღებას, საკუთარი თავის გაღებას სხვის გასანათლებად".

ამ დღეებმა რა დამანახა? ჩვენი მოქალაქეების ნაკლები სამოქალაქო განათლება, პირადი ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენება, სხვათა შრომის არ დაფასება, მეტი ბოლმა განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების მიმართ, სოციალურ ქსელებში ნეგატიური პოსტების გავრცელება, არხეინად ყოფნა.

#დარჩისახლში – ეს თხოვნა, განა, ასე რთულად შესასრულებელია? ვფიქრობ, არა.

მშობლებო, თუ შვილებთან ერთად დაგეგმავთ დღეს, ითამაშებთ და ისწავლით, ითანამშრომლებთ მასწავლებლებთან, ეს იძულებითი არდპადეგები არც ისე მოსანყენი გახდება თქვენთვის. ნუ იქნებით ჯიტიჯელები მასწავლებლების მიმართ, მათთვისაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს ონლაინ სწავლება. გაითვალისწინეთ, ისინიც ამჟამად სწავლობენ ონლაინ სწავლების სტრატეგიას. ნურც იმით შეაფასებთ მასწავლებლებს, რამდენად ბევრ დავალებას მისცემენ თქვენს შვილებს. ითანამშრომლეთ მათთან, ერთად დაგეგმეთ, როგორ გახადოთ ბავშვებისთვის სახლში ყოფნა სასიამოვნო და საინტერესო. მოანყვეთ ჯითხვის საათი, ნაკლებად იკითხეთ სოციალურ ქსელში განთავსებული ამბები.

მასწავლებლებო, უმჯობესია თუ მცირე ზომის სახალისო დავალებებით შემოიფარგლებით. გამოიყენეთ დოკუმენტური ფილმებით, პროექტებით სწავლების სტრატეგია და ამ ეტაპზე არსებული მზა რესურსები. ვაფასებ თქვენს მონდომებას და მზაობას, თუმცა, რამდენიმეჯერ ონლაინ ჩართვით ნინასწარ ქულებს ნუ დაინერთ, თითქოს ყველაფერი ჯარგად გამოგდით, ჩვენ ხომ შედეგზე ვართ ორიენტირებულები. მართალია, ახლა მასწავლებლებისთვის დისტანციური სწავლება დიდი გამოწვევაა, მაგრამ დაძლევადია. უბრალოდ, გაითვალისწინეთ რამდენიმე რამ: ნუ მისცემთ მოსწავლეს ბევრ დავალებას; ეცადეთ, დავალება სახალისო იყოს და პროდუქტის შექმნაზე, პროექტების, პოსტერების, ინიციატივების დაგეგმვაზე ორიენტირებული. ამისთვის teams მართლაც საუკეთესო პლატფორმაა.
განათლების სამინისტრო – ვაფასებ mikrosoft teams-ის ონლაინ პლატფორმის შექმნას, ტელესკოლის პროექტს, ეკოომენდაციებს, თუმცა, უფრო უკეთესი შედეგების მისაღებად, ჯარგი იქნება, კონკრეტული საგნობრივი მიმართულებებით განეული ეკოომენდაციები და ონლაინ სწავლების მიმართულებით რაც შეიძლება მეტი ნარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.

საზოგადოებას – ქვეყანა ჩვენი დიდი ოჯახია. ოჯახს სიყვარული და ზრუნვა სჭირდება.

#დარჩითსახლში – ეს იქნება დასტური თქვენი დიდი სიყვარულისა სამშობლოს წინაშე.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი